# სახალხო გაზეთი

№ 822 ხუთშაბათი, 14 თებერვალი 1913 წ. № 822

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



# სახალხო გაზეთი ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება

(კვირაობით)

**პრემიად** 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.

2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

**ადრესის გამოსაცვლელი ფასი** ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

**ათი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით**

**მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) „**სახალხო გაზეთი**“-**ს კანტორაში**, (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში**,
3) **ფოსტით**; Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.


**ბესარიონ ზაქ. ტყემალაძე** ქ. ვარშავიდან ულრმეს მადლობას სწირავს ყველას, ვინც ჩემს დაუვიწყარ ძმის, ყოფილ სასულიერო სემინარიის მოწაფის

## ტარასი ზაქარიას ძის ტყემალაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო (23 დეკემბ. 1912 წ. ჰილოფანში) პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას პირადის დასწრებით, ნივთიერ, ან რაიმე სხვა დახმარებით ან შორიდან თანაგრძნობის გამოცხადებით, რითაც ნუგეში სცეს ღრმა მწუხარე ჩემს მშობლებსა და დებს. 1059


**ტელეფ. № 795.** **ქართული თეატრი** წარმოდ. № 51.

**✦ კ. დ. ყიფიანის გასტროლი. ✦**

**ხუთშაბ., 14 თებერ.**, ქართ. დრ. საზ. დასის მიერ **კ. დ. ყიფიანის** მონაწილეობით წარმოდგ. იქნება ცნობილი ისტორიული პიესა

## და - ძმა, დრამა 5 მოქ. ვ. გუნიასი.

ოტია-ჯოლიას როლს შეასრულებს **კ. ყიფიანი.**

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: დავითაშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბდუშელი, ალექსიძე, გედევანოვი, ზარდალიშვილი მატარაძე, ყივი ე, ყიფიანი, სარაული, კიციშვილი, შალიკაშვილი, შანშიაშვილი.

**დასაწყ. სწორედ საღ. 8 ს.** ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
ადმინ. ქართ. დრამ. საზ. რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

ანონსი: კვირას, 17 თებერ., **გ. გედევანოვის** საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება **კ. დ. ყიფიანის** მონაწილეობით „**მეფე ლირი**“. 1040

## ქართული თეატრი

**კვირას, 17 თებერვალს გაიმართება**

## საბავშვო დილა

სამ განყოფილებით: 1 ბავშვები წარმოადგენენ ბ. ახალციხელის მიერ გადმოქართულებულ პიესას—„**ობოლი**“

2. ლიტერატურულ-ვოკალური განყოფილება ბავშვების მონაწილეობით, ცოცხალი სურათები, საოხუნჯო გასართობები და სხვა.

3. პროექტორი განმარტებით ილია ნაკაშიძის მიერ.

გამგე დილისა **ნ. ნაკაშიძე.**

ბილეთები იყიდება „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტი, № 8) და ქართულ თეატრის კასაში. 1056.

## ქ. თელავი

**პარასკ., 22 თებერვალს**, საქალაქო საკრებულოს დარბაზში **გაიმართება**

## მასკარადი-მეჯლისი

### ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების თელავის განყოფილების სკოლის სასარგებლოდ.

1067

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოდ.

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა.** იღებს შინაგან სნეულ., ფილტვთა და გულით ავადმყ. **წამლობა ტუბერკულინით, რძის პრეპარატებით და პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე დილ.** 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **ხოლოდნაია**, ბებუთოვის ქ., № 23 (დანოვის ქ. **ტელეფ.** კუთხე) 7-92. 97.

### Общество Кахетинскихъ садовладѣльцевъ „Кахетія“ въ Тифлисѣ

Заявленъ М-ву Торг. и Пром.

Уставъ общества утвержденъ въ 1895 г.

№

რადგანაც ამ უკანასკნელ დროს

მეტად გახშირდა ჩვენი ფირმის ეტიკეტის ყალბი მიბაძულებანი, „**კახეთი**“-ს **საზოგადოება**

**საყოველთაოდ აცხადებს, რომ ასეთ საქმის ჩამდენთ** სასტიკად **გამოვეკიდებით სასამართლოს წესით.** 1054

**ქარხნის მარკა**

## კონიაკი და ლიქორი

## ს. ს. შამრიანცისა

ტფილისი ელისაბედის ქუჩა № 166. 1570

## მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.

### ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

## „ნაკადულ“-ზე.

**წელიწადი მეცხრე.**

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ორი გამოცემა:**

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი

მოზრდილთათვის . . 12 წიგნი

ეღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **საჩუქრად ამერიკელ მწერალ ქალის პარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან ✦ „ბიძია თომას ქოხი“, ✦** სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 80-ზე მეტი სურათი და ჩართული ექნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა **ილია ნაკაშიძემ.** ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვან და მოზრდილ. **1910 წ.** ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. **ხელის მოწერა** შეიძლება **ტფილისში**—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

ზიაში რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი თ-დ **პავლე თუმანიშვილი**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან**

**ძმების ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღლაშვილი გ. ვ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული სნეულებანი. | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფარადჟევი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11½ 12½. |
| ქალთა და სამშობიარო სნეულებანი. | **ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თაკაიშვილი ა. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულხანოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექტ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურ. ყელ. და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. 1035

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი, ორდინატორად ნამყოფი** კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს 5—6 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 67

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.**, № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 172

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

მოუწოდებს იმ პირთ, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ქალაქის დაწესებულებათათვის 1913 წელს საოჯახო ნივთების მისაწოდებლად

## საჯარო შეცილებაში

1 განყ. ცოცხები ოთხისა და ეზოს საგველი, ძველი ტომრები, სხვა და სხვა ხვეული ქსოვილები, ნაჭრები, ფეხთ-საფენები, იატაკის საწმენდი ტილოები, ჯარისკაცთა მაუდეული, ჩილოფები, სხვა და სხვა ჩოლოქები. სულ 3,000 მანეთისა.

2 განყ. ბიდონები, ვედროები, რკინის ნაბები, ბაღის სარწყავი ვედროები, დანები, ხერხები, ცულები, კლიტეები, ლურსმნები, თოკები, ფალასები, მაუდის ნაკუწები, ხელი, შპაგატები, კარბოლის სიმჟავე, საღებავები, წებო, სახამებელი, თვლების საპოხი, ნაირ-ნაირი საპონი, სათელი სულ 5,000 მანეთისა.

3 განყ. შვრია, ქატო, ბზე, ქერი, ქერის ფქვილი. სულ 3,000 მანეთისა.

მოცილეობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა წარმოადგინონ ბე: 1 განყ.—150 მან., მე-2 განყ.—250 მ., მე-3 განყ.—150 მ.

ვისაც ამ მოცილეობაში მონაწილეობის მიღება სურს, მოვალეა ეს ბე წარადგინოს გამგეობის კასაში და ამასთანავე შეიტანოს განცხადება გადახდილ ფასების აღნიშვნით, დაბეჭდილ კონვერტით. ქალაქის გამგეობის 1 განყოფილებაში მიმდინარე წლის 15 თებერვლამდე დილი 10—3 საათამდე. 1041.

## საგურთალოზე

**მშვენიერა ლაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად **დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.**

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, **რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

## სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3. ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**არგუთინსკი**, შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 1½ ს.

**ახვლედიანი** შინაგან სნეულ. საბავშ. ყოველ დღე საღამოს 3—4 ს.

**ბოგუსლავსკი.** შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხშაბ. პარასკევ. საღამ. 4—5 ს.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

**ალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ.—3 ს.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 1½—12½

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

**ერმოლაევი** —ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

**ბაგდოევისა**, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

**შამაში**, ქირურგ. ავადმყ. ყ.-დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.

**გ. ნ. გეინაცი**—თვალის ავადმყ. ორშაბ., ოთხშ., პარასკ. საღ. 4—5 ს.

**ა. ა. ხოდნევი**—თვალ. ავად. სამშ, ხუთშ., შაბ., კვ., საღ. 4—5 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. აკად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. 366.

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა და გადაღებ.** რენტგენის სხივებით. ვერა. ყურდანოვის ქ. № 29 წ. 122

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგანავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

**ვორობიევი.** შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

**ნ მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური. ქიმიური გამოკვლევანი; **აგრეთვე ყვავილის** აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასირჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“-ით.** 1053

**ექიმი ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. გაბაშვილისა.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.


## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ სენატის პირველ დეპარტამენტში საგულისხმო საქმე გაირჩა: **კნეინა ე. ა. ბაგრატიონისა** უჩიოდა ხელმწიფის მოადგილეს, ტფილისიდან გაძევებო. ამ რამდენიმე წლის წინათ ტფილისს ჩასულა კნეინა და მოწოდება გაუვრცელებია ხალხში, რომლითაც ითხოვდა საქართველოს მეფობის აღდგენას 1783 წ. ხელშეკრულების ძალით, ხელმწიფე იმპერატორობის მფარველობის ქვეშ. ამ მოწოდებაში თავის თავს საქართველოს დედოფლად ისხენიებდა. რადგანაც მთავრობამ კანონი დაარღვია საქართველოში და რადგან 1908 წ. სტოლიპინის განცხადებისამებრ „ყოველივე კანონის დარღვევა მთავრობისაგან ხმამაღლა იქნება გამოცხადებულიო“. უფლება მქონდა აგრეთვე მოკქცეული ყავიო. სენატმა ამის შესახებ სრულიად სამართლიანად სცნო ხელ. მოადგილის დადგენილება, რადგან ასეთი მოწოდება ხალხს აღელვებსო და კნ. ე. ა. ბაგრატიონის მეუღლის, სენატორ ბეხორაზოვის ასულის—საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა.

✦ **კიდევ ხმ. ი. სულაბერიძე.** როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ხმ. სულაბერიძე ქალაქის საბჭოს დადგენილებას არ დაემორჩილება და ხმოსნობას თავს არ დაანებებს, რადგანაც საქმე ჯერ კიდევ დამთავრებულად არ მიაჩნია და განაგრძობს თვის მოქმედობას, როგორც სასამართლოში, ისე პრესაში.

✦ სახლის პატრონთა და მდგმურთა საზოგადოების საგანგებო კომისია დღეს კუკიის რაიონში დაათვალიერებს იმ ადგილებს, სადაც **საზოგადო სახლების** აგება არის განზრახული.

✦ გუშინ მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად სამოცის წლის დედაბერი შანშიევისა, რომელსაც საწამლავი დაელია.

✦ **ეპისკოპოს დავითის ახალი გამოცემა.** გამოვიდა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცე-

ლებელ საზოგადოების მაღაზიაში იყიდება დავით ეპისკოპოსის ახალი წიგნი: „სიტყვანი დავით ეპისკოპოსისა, ნაწ. 1“. კრებული შეიცავს 69 გვერდს და ღირს 10 კაპ. მთელი შემოსავალი, გამოცემის ხარჯის მიუხედავად, გადადებულია ქართულ გიმნაზიასთან არსებულ სასადილოს სასარგებლოდ.

✦ ხმოსანთა შორის აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ საქალაქო სამსაჰურიდან დაითხოვონ ტეხნიკი მ. პ. ალაჯანოვი, ფარმაცევტი ქავთარაძე და საუქციონო დარბაზის მწერალი კარაკაშევი, რომელთაც კავშირი აქვთ ი. სულაბერიძის საქმესთან.

✦ **ტფ. „კრუჟოკ“-ის მამასახლისთა** დამატებითი არჩევნები 11 თებერვალს მოხდა. მამასახლისად აირჩიეს თ-დი კ. ნ. აბხაზი. მამასახლისების კანდიდატებად ათი კაცი აირჩიეს.

✦ **ტფ. საბატანიკო ბაღს** აზრად აქვს, ცხრა-წყაროში საგანგებოდ შემოფარგლოს ნახევარ დესეტინა მიწა და გამოიკვლიოს: როგორ იცვლება ბალახი, როდესაც საქონელი სძოვს.

✦ კარგა ხანია ქალაქის თვითმმართველობაში აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ არაგვიდან ტფილისში წყალი გამოიყვანონ და **ავლაბრისა, ნავთლუღისა და კუკიის საქალაქო აგარაკები მორწყონ.** გუშინ ქალაქის საბჭოს საადგილ-მამულო კომისიის თავჯდომარემ ს. თ. ქრელაშვილმა ქალაქის გამგეობას თხოვნით მიმართა, გაანთავისუფლოს რამდენიმე ხნით თავის მოვალეობისაგან ქალაქის წყალსადენის გამგე ინჟ. გ. ზ. ქურდიანი და დაავალოს, გამოიკვლიოს ის გზა, რომლითაც არაგვიდან წყალი ტფილისში უნდა ჩამოიყვანონ.

✦ **გლეხთა დროებით ვალდებულების მოსპობის კანონის** გამოცხადების საკითხის გამო ტფილისში ჩამოვიდნენ ამიერ-კავკასიის საკანტროლო პალატების გამგენი და ხარჯის ამკრები ინსპექტორები. მათ თათბირი ექნებათ.

✦ **სახალხო კითხვათა საზოგადოებას** აზრად აქვს, წელს შესამჩნევად გააფართოვოს თავისი მოქმედება. საზოგადოების გამგეობა ამ ქამად მომავალ მოქმედების ვრცელს გეგმას ადგენს, რომელიც განსახილველად საზოგადოების საერთო კრებას მოკლე ხანში წარედგინება.

✦ **ქალაქის 1913 წლის ხარჯთაღრიცხვის** დამტკიცების გამო სხვა და სხვა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ, რომელსაც ქალაქისაგან შემწეობა ეძლევა, ქალაქის თვითმმართველობას სთხოვა ჩქარა გახსნას კრედიტი, რათა საბჭოს მიერ გადადებული ფული დროზე მიიღოს.

✦ ქალაქის სასანიტარო ექიმებმა ქალაქის გამგეობას სთხოვეს, დაუთმონ მათ თავ-თავიანთ უბანში ერთი ოთახი ქალაქის სამკურნალოების შენობაში, ან სავაჭრო-სამეურნეო აგენტების კანტორებთან.

✦ 11 თებერვალს, შუაღამის 12 საათზე 19 წლის კონსტანტინე ნიკიფორეს ძე კოდენკომ ნიშადურის სპირტით თავი მოიწამლა. მიზეზი ისა ყოფილა, რომ მშობლებს, დაგვიან ბისათვის სახლში აღარ შეუშვიათ. კოდენკო სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. მორჩენის იმედი აქვთ.

✦ თორმეტ თებერვალს, ღამის თორმეტის ნახევარზე სახაზინო თეატრის გამოსავალში ივანე მიხეილის ძე კორინთელს **ოქროს საათი ამოაცალეს**, 80 მანეთად ღირებული.

✦ კრწანისის ბაღებში მცხოვრებმა **მიხ. პავლ. ნადირაშვილმა**, 12 თებერვალს, პოლიციას განუცხადა, რომ ბაღში აკაკი ტ... შვილთან მყოფმა მერაბოვმა სანადირო თოფი მესროლა, მაგრამ ამაცდინა და თოფი წავართვიო. პოლიციამ მერაბოვი შეიპყრო. მან განაცხადა: მართალია თოფი გავისროლე, მაგრამ ხეზე მჯდომ შოშიას ვესროლეო, და მომჩივანი თვალითაც არ მინახავსო.

✦ 10 თებერვალს, მე-10, მე-11 და მე-12 საპოლიციო უბანში 55 უპასპორტო შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები.

✦ **ქალაქის თვით-მმართველობის მოსამსახურეთა საეკონომიო საზოგადოების** გამგეობის წევრებად აირჩიეს: როხლინი (თავმჯდომარე), ხარაზიანი, ლისინოვი, სალათელიანი, ოლანჯანოვი (ბეითალი), ვასილიევი (მდივანი), ოჰანესოვი (თავმჯდომარის ამხანაგი) და ფირუმოვი. სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს: კაქკაქევი, ბაგრამოვი, ზურაბიანცი, გრინბერგი და ჩინკალენკო. გამგეობას დაევალა, მოელაპარაკოს დიდს ფირმებს, რათა საზოგადოებას საჭირო საგნები აძლიოს ხელმისაწდომ ფასებში. ამას გარდა გამგეობამ უნდა შეიმუშავოს მოხსენება საზოგადოების წევრთა შვილებისთვის, ერთის სტიპენდიის დაარსების შესახებ საშუალო სასწავლებლებში.

✦ **ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების** წევრთა საერთო კრება 12 თებერვალს მოხდა საკომერციო სასწავლებლის შენობაში ს. ა. ლიპსკის თავმჯდომარეობით, რომელმაც კრებას აცნობა, რომ საზოგადოების ცენტრალურ გამგეობას ნება დართეს, შეწირულებანი შეაგროვოს ჩერნოგორიის წითელ ჯვრის სასარგებლოდ. კრებაზე დამსწრეებმა იქვე ერთმანეთს შორის 50 მან. შეაგროვეს. კრებამ დაამტკიცა საზოგადოების 1912 წლის ანგარიში. 1913 წლის 1 იანვრისთვის საზოგადოებას 52 წევრი ჰყოლია. კრებამ დაადგინა, საზოგადოების მიერ გამართულ გამოფენებზე გაყიდულ ფრინველების ფასიდან 5% გადაახდევინონ ფრინველების პატრონთ საზოგადოების სასარგებლოდ. 1912 წლის საფინანსო ანგარიში კრებამ დაამტკიცა: შემოსავალი ჰქონია 2839 მან. 46 კ., ხარჯი—2078 მან. 23 კ. საზოგადოების ხაზინადარი კ. ე. ეჯუბოვი კრებამ კენჭის ყრით ერთხმად საზოგადოების საპატიო წევრად აირჩია. განიხილეს 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც ნავარაუდევია 2741 მან. 63 კაპ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს მოგილევსკიმ აღნიშნა, რომ კიევში ზაფხულის დამლევს ფრინველთა გამოფენა იმართება და კარგი იქნება, რომ იქ ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა. გამოირკვა, რომ ფრინველთა გაგზავნა შეუძლებელია, რადგანაც გზაში სიცხით დაიხოცებიან. ამიტომ კრებამ დაადგინა: გამოფენაში მონაწილეობა არ მიიღოს და თუ საზოგადოების რომელიმე წევრი თავისით წავა გამოფენაზე, დაევალოს მას, რათა საზოგადოების წარმომადგენლობაც იკისროს. ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცეს. დასასრულ არჩევნები მოხდა. საზოგადოების თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ა. ი. დრბოგლავი, კენჭის ყრით აირჩიეს: თავმჯდომარის ამხანაგად ს. ა. ლიპსკი, მდივნად მ. ტ. ანდრონსოვი, ხაზინადრად კ. ე. ეჯუბოვი; საზოგადოების საბჭოს წევრებად აირჩიეს: ა. კ. ვეტცელი, ლ. ვ. ტრიბუნსკისა და ო. ს. ვალტერი; კანდიდატებად აირჩიეს: კ. პ. გოფფეტი და ო. ს. იაკოვლევისა. სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს: გ. ზ. ზახრაბოვი, ა. ე. დიუმა და ე. გ. ციმპფერი, მათ კანდიდატად ი. ა. რო.

## ქუთაისი

✦ 17 თებერვალს **გ. გიორგაძე** რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოში ბატონ-ყმობის შესახებ **ლექციას წაიკითხავს.** ამავე დღეს **ს. რობაქიძე** აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ ისაუბრებს.

✦ სახალხო უნივერსიტეტის ლექტორთა რიცხვს ერთი ახალი ლექტორი მიემატა, **ნ. ბალანჩივაძე.** ამ მოკლე ხანში იგი წაიკითხავს ლექციებს: „დანაშაული და სასჯელი“.

✦ ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთს“ მოუვიდა გასაყიდათ **დ. კასრაძის წიგნი „ვლ. სარდიონის ძე მესხიშვილი“.** წიგნში გარდა ბიოგრაფიისა მოთავსებულია მისი სცენაზე თამაშის კრიტიკული განხილვაც. წიგნი კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი, შიგ სურათებიცაა მოთავსებული და 10 შაურად იყიდება.

✦ ქუთაისში პოლიციამ დააპატიმრა და ადგილობრივ ციხეში მოათავსა **ილია ფალიანი.** მას ბრალდება გამათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება.

✦ ამ ჟამად ქუთაისის **საგუბერნიო საპყრობილის** საავადმყოფოში მოთავსებულია 47 ავადმყოფი.

✦ იანვარში ჭიათურიდან რკინის გზით გაუზიდავთ 6.052.950 ფუთი **შავი ქვა;** ბათუმიდან კი გაუტანიათ საზღვარ-გარეთ 1.714.898 ფუთი.

✦ უმაღლესი ბრძანებით სასჯელი აპატიეს და ქუთაისის **ციხიდან გაანთავისუფლეს** აზნაურ სამგულია (აბხაზი), იოსებ ფაჩულია, ერასტი გიორგაძე და ონისიმე ლომიძე.

✦ **თავადი აფაქიძე,** რომელიც აირჩიეს ქალაქ ფოთის თავად, ამ დღეებში დაამტკიცებენ ამ თანამდებობაზე. იგი უკვე გაემგზავრა ფოთში.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ** 11 თებერვლის კრებაზე დაადგინა: მომავალ დიდ მარხვაში გამართოს ორი სახალხო წარმოდგენა. წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებენ სცენის მოყვარენი.

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი სხდომა 18 თებერვალს მოხდება.

## ბაქო

✦ დამტკიცებულია სავაჭრო კონცესიები, იჯარით გაიცეს აპშერონის ნახევარ კუნძულზე **34 სახაზინო ნავთიანი ადგილი,** თანახმად 17 ივნისის 1912 წლის კანონისა. საჯარო ვაჭრობა ბაქოში 15 მაისისთვის არის დანიშნული.

## ბათომი

✦ კვირას, 10 თებერვალს, შესდგა კრება, რომლის მიზანიც იყო, თუ როგორ იდღესასწაულოს **ვ. მესხიშვილის იუბილეი ბათუმში.** კრებამ ამოირჩია კომისია, რომელშიაც შევიდნენ: იგ. მესხი, შ. დადიანი, ს. მდივანი. გოგოლაძე, ვ. რუხაძე, კოხმავა და ცენტერაძე. ამათ დავალებული აქვთ შეიმუშავონ გეგმის დღესასწაულისა და 17 თებერვალს კრებას წარუდგინონ. ამ დღეს კი განსაკუთრებითი საიუბილეო კომისია იქნება ამორჩეული.

## სოფლად.

✦ პოლიცია სასტიკ ზომებს ხმარობს დარჩენილ სახელმწიფო გადასახადების შესაკრებად. ვინც ფულის გადახდას ვერ ახერხებს, მათგან მიაქვთ საოჯახო ნივთები და საჯაროდ ჰყიდიან.

# ჟურნალისტის დღიური

125.

**სამწუხარო მოვლენა.**

ეგრედ წოდებულ მოქალაქობრივ ცხოვრების განვითარებას თან მრავალი ისეთი უარყოფითი თვისებები ახლავს, რომლებიც ადრე თუ გვიან უსათუოდ ჩვენს ცხოვრებაშიაც იჩენდა თავსა. უსათუოდ ჩვენშიაც მოიძებნებოდა ისეთი ელემენტი, რომელიც ყველაფერზე მაღლა მსუბუქი ჟანრის გასართობებს დააყენებდა. ქარაფშუტულ გასართობების მოტრფიალეთ ახალმა კლუბმა კარგი გასავალი და ასპარეზი მისცა.

ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს, რასაკვირველია, შორიდან, რადგანაც კლუბებში არ დავდივარ და არც საჭიროდ მიმაჩნია სიარული, როგორ ითრევდა სისტემატიურად ახალი კლუბი სხვა და სხვა წრის წარმომადგენლებს. ახალი კლუბის გარშემო ჩნდებოდა კონცენტრიული რგოლები, რომლებიც, რაც დრო გადიოდა, უფრო იზრდებოდა და უფრო დაბალსა და დაბალს ელემენტებს ჰხვდებოდა.

კლუბები ტფილისში წინადაც არსებობდა. მაგრამ ის კლუბები მოცლილი ხალხის თავის შესაქცევ ადგილად იყო გადაქცეული. ფართო მასსა ქართველ ოჯახებისა ამ ქარაფშუტულ გასართობებს დაშორებული იყო, ახალმა კლუბმა მსუბუქი ჟანრის გასართობი გაადემოკრატა, ისეთ დონეზე დააყენა, როდესაც სრულიად ღარიბ ოჯახსაც კი საშუალება მიეცა ბურჟუაზიულ წარყვნილ გემოვნების ნაყოფს დასწაფებოდა. არ ვიცი სხვები რას იტყვიან, მაგრამ მე პირადად, რამდენადაც დავკვირვებივარ, ყოველთვის ისეთი შთაბეჭდილება გამომიტანია, რომ ამ მსუბუქი ჟანრის გასართობს ბევრი ისეთი ელემენტი დაეწაფა, რომელსაც წინათ კლუბი სიზმარშიაც არ მოელანდებოდა.

ეს არის პირველი და უმთავრესი სარგებლობა ახალი კლუბისა. აღსანიშნავია მეორეც. ახალი კლუბის გასართობები თან და თან შემსუბუქდა და ბოლოს მასკარადებად იქცა. ახალ კლუბში, თუ არა ვსცდები, ეს მესამედ იმართება მასკარადი და, როგორც ეტყობა, საზოგადოებას მოეწონა. მაგრამ რა არის ეს მასკარადები და რანაირ სახეს იღებს ყველგან, სადაც კი საჯაროდ იმართება, ყველას კარგად მოეხსენება. ეს უმდაბლესი ფორმა მსუბუქი ჟანრისა, როგორც ეტყობა, ფეხს მოიკიდებს. ეს მეორე სარგებლობაა ახალი კლუბისა.

ამ ჟამად ჩვენ პროტესტის ჟანი არ გველაპარაკებს. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ მხოლოდ იმიტომ, რომ ახალმა კლუბმა არამც თუ ისეთი მიმართულება არ მიიღო, რანაირიც დამაარსებელთ ჰქონდათ განზრახული, არამედ მსუბუქი ჟანრის პოპულიარიზაციით არსებულ კლუბებსაც კი გადააჭარბა.

ახალი კლუბის ხელში საკმაოდ დიდი ფული ტრიალებს. ჩვენ იმ ოპტიმისტთა რიცხვს არ ვეკუთვნით, რომელთაც ჰგონიათ, რომ კლუბს საზოგადოდ და განსაკუთრებით კი ისეთს კლუბს, რანაირიც ახალი კლუბია, შეუძლიათ რაიმე კულტურული მნიშვნელობა ჰქონდეს. მაგრამ იმ ფარგლებშიაც, რომლებშიაც საზოგადოდ კლუბების მოქმედებაა მოქცეული, მესვეურთ შეუძლიათ უფრო ნაყოფიერად გამოიყენონ ეს დაწესებულება.

მაგრამ თუ ახალი კლუბის მოქმედება ისევ ამ გზით წავიდა, მისი არსებობა მავნებლად გადაიქცევა და ვერავითარი ასი ათასი ვეღარ იხსნის იმ მსჯავრისაგან, რომელსაც ქართველ საზოგადოებისაგან დაიმსახურებს.

**შინაური.**

# ვლ. ალექსი-მესხიშვილის იუბილეის გამო

იუბილეის ანგარიშში გამოგვრჩა შემდეგი: ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის მხრით მილოცვა წაიკითხა ბ-ნ ი. ზურაბიშვილმა, მილოცვები იყო აგრეთვე: ჟურნალისტის თ. ჟორდანიასაგან, სომხურ გაზეთ „კავკაზი ლრაბერისაგან“, გაზ. „კავკაზსკაია სკოლა“-საგან, „განათლების“ სკოლისაგან, ქანდაკეპის სკოლისაგან, ქართველ ქალთა ამხანაგობის ჭრა-კერვის სკოლისაგან, ავლაბრის კლუბისაგან, სოფ. სტეფან-წმინდის მცხოვრებთაგან და მეტეხის ციხეში მყოფ მსახიობ ზ. საფაროვისა და სხვა დატუსაღებულთაგან.

# საიუბილეო კომიტეტის მიღებული მისალოცი დეპეშები:

(შემდეგი *)

**მ. სკოვი** ქართველთა სამეცნიერო და სალიტერატურო საზოგადოების სახელით თავმჯდომარე არაყიშვილისაგან, **ტფილისი:** ვალერიან გუნიასაგან (რომელიც მდებარე ავადმყოფია). „ბაკუს“ რედაქციისაგან. **ქუთაისი:** სამეურნეო სასწავლებლის მოწაფეთაგან, **სოხუმი:** ალექსანდრა ნინუასაგან, **ბაქო:** ექიმ ელიაშვილისაგან, **მოსკოვი:** ქართველ სტუდენტობისაგან, **ბათომი:** წ.-კ. გ. საზ. გამგეობის სახელით თავმჯდომარე კრინიცკისაგან, **ფოთი:** გიმნაზიის მოწაფეთაგან, **მცხეთა:** მიშა და თამარ ჭავჭავაძეთაგან, **ახალციხე:** წ.-კ. გ. საზ. მონდობილობით მერი ამირაჯიბისაგან, **ყარსი:** ქართველობისაგან, **ბაქო:** ქართველ ფარმაცევტებისაგან, **სოხუმი:** ქართულ წარმოდგენების მმართველ წრისაგან, **სამტრედია:** წ. კ. საზ. განყოფილების გამგეობისაგან, **ფოთი:** დრამატიულ საზოგადოებისაგან, **ბათომი:** ქართველ საზოგადოებისაგან, **პეტერბურგი:** ქართველთა სათვისტომოს გამგეობისაგან, **ასტარი:** ლიუკანიძისაგან, **ქუთაისი:** ნაფიც ვექილთა და თანაშემწეთაგან, **ველისციხე:** საზოგადოებისაგან, **ქუთაისი:** წმ. ნინოს სასწავლებლის მოწაფე-ქალთაგან, **სამტრედია:** საზოგადოების მონდობილობით სიხარულიძისაგან, **ქუთაისი:** დრამატიულ საზოგადოებისაგან, **პეტერბურგი:** ქართველთა სამეცნიერო წრის გამგეობისაგან, **ახალქალაქი:** მკვიდრთა და ჯავახეთის ქართველობისაგან, **მოსკოვი:** უნივერსიტეტთან არსებულ ქართულ კულტურის მოყვარულ წრისაგან, **ჭიათურა:** სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისაგან, **ქუთაისი:** გიგინეიშვილის საზოგადოებრივ ტრო კურსების სამოსწავლო საბჭოსაგან, **ქუთაისი:** ქალაქის გამგეობის სახელით ქალაქის მოურავ ჩიქოვანისაგან, **ჭიათურა:** შავი-ქვის მრეწველთა საბჭოსი და თავისი სახელით კიტა აბაშიძისაგან, **სოხუმი:** ქართველ საზოგადოების სახელით თავდგირიძისაგან, **ქუთაისი:** პურადაშვილისაგან, **იურიევი:** აკაკი პაპავასაგან, **ფოთი:** ქართველ საზოგადოების სახელით იონა მეუნარგიასაგან, მსახიობ ალიხანისაგან, **დუშეთი** საზოგადოების მინდობილობით სოსო ნატახტარელისაგან, **ტომსკი:** ქართველთა სათვისტომოსაგან, **ტფილისი:** ევგენია და ლენოჩკა კორშინებისაგან, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა ჯგუფისაგან, **ბათომი:** ექიმ ბეთანიშვილისაგან, **ყარსი:** თაქთაქიშვილისა და სხვათაგან, **ევლახი:** ქართველობისაგან, **ქუთაისი:** სათავ.-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მსახურთაგან, **კავკავი:** თ-დ ლორთქიფანიძისა და სხვათაგან, **კიევი:** ანტონ კრუჩინინისაგან, **მოსკოვი:** ბაბო როსტომაშვილისაგან, **ქუთაისი:** მუშებისა და ნოქრების მინდობილებით ფრუიძისაგან, **ტფილისი:** სახაზინო თეატრის კაპელმეისტერ ზელენისაგან, **ტფილისი:** სახაზინო თეატრის ხორმეისტერ კორშოკისაგან, **ქუთაისი:** მსახიობ გვარამძისაგან, **ტფილისი:** მსახიობ მამიკონიანისაგან.

(დასასრული იქნება)

# მეფის მოადგილის

**წერილი კავკასიის ოლქის მზრუნველისადმი.*)**

სხვა მოვლენათა შორის, რომელთაც უკანასკნელ დროს იჩინეს თავი, არ შეგვიძლიან უყურადღებოდ დავტოვოთ ის ფაქტი, რომ უფროს კლასებამდე მიყვანილი მოსწავლენი, მოუმზადებლობის გამო, არ არიან ხოლმე მიშვებულნი სიმწიფის მოწმობის გამოცდებზე.

პრინციპით უნდა აღვიაროთ, რომ მოსწავლე, რომელიც მოუმზადებლობას იჩენს, არ უნდა იყოს საბოლოო გამოცდაზე მიშვებული, რათა უღირსმა მოსწავლემ შემთხვევითი ცოდნის გამოჩენით ვერ მიიღოს სიმწიფის მოწმობა. მაგრამ, მეორეს მხრივ, შეურყეველ და ძირითად წესად უნდა მივიჩნიოთ, რომ ამგვარ მოვლენათა პასუხისმგებლობა, როგორიც არის უფროსს კლასების გამოცდაზე მოსწავლეთა მიუშვებლობა, თუ რასაკვირველია, ეს უკანასკნელი არ არის გამოწვეული გარემოებით, რომელიც სავსებითაა დამოკიდებული მოსწავლის პიროვნებაზე, აწვება სასწავლებელს და მასწავლებლებს. მოსწავლე, რომელიც რამდენიმე წელს ღირსად იყო ცნობილი ერთი კლასიდან მეორე კლასში გადაყვანისა, მომზადებულად ჩაითვლება. მერვე კლასში მოუმზადებლობის გამოჩენა იმასა ჰმოწმობს, რომ წინა წლებში მის ცოდნის შემოწმებას სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ, რაც შეეხება გამოცდაზე მოსწავლეთა მასიურ მიუშვებლობას, ან და საბოლოო გამოცდაზე ცუდი ნიშნების მიღებას, ეს გვიჩვენებს, რომ სასწავლებელში სწავლების საქმე სრულიად არ ყოფილა თავის დონეზე დამყარებული. ამ მხრივ განსაკუთრებითი პასუხისმგებლობა აწვება უმაღლეს პერსონალს (დირექტორებს და ინსპექტორებს). და სწორედ მათი პირდაპირი მოვალეობაა ზომები მიიღონ იმის წინააღმდეგ, რომ არც უნიჭო და არც მოღლილ მასწავლებელთ, რომელთაც ვერ შეუძლიანთ კლასის ღირსეული მომზადება, არ უნდა ჰყავდეს სასწავლებელს.

ყოველივე მოსაზრებამ, რომელიც იკავებს მთავრობას მასწავლებელთა დათხოვნისაგან, როგორიც არის ნითიერი უმწეობა, ადგილი უნდა დაუთმოს იმ აზრს, რომ უხეირო პედაგოგის ადგილზე დანარჩუნებას შედეგად მოსდევს უფრო სამწუხარო მოვლენა მრავალ ბავშვთათვის, რომელნიც სამოსწავლო მთავრობის პასუხისმგებლობის და მზრუნველობის ქვეშ არიან მიღებულნი.

დასასრულ, საჭიროდ ვთვლი შევჩერდე ფრიად და ღრმად სამწუხარო მოვლენაზე—მოსწავლე ახალგაზრდობაში გახშირებულ თავის კვლაზე. ამ მოვლენას რომ დავაკვირდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეპიზოდიურ მიზეზთა დამოუკიდებლად, რომელთაც ადამიანი თავის კვლამდე მიჰყავთ, არის ორი უმთავრესი და ძირითადი მიზეზი: ერთის მხრივ, ცხოვრებაში გულისთქმათა გადაჭარბებული განვითარება, რომელნიც არ ეთანხმებიან მათ განსახორციელებელ ძალთა და საშუალებას და მეორე მხრივ, სულმოკლეობა ცხოვრების სიდუხჭირის წინაშე, სიჩაუქის უქონლობა ცხოვრების სიძნელესთან და მასთან ბრძოლაში თავის ძალის იმედის და რწმენის უსუსურება.

ეს ძირითადი მიზეზები თავის მოკვლისა არ შეიძლება სკოლას მივაწეროთ, და თუ თავის კვლის შემთხვევა უფრო ხშირია მოსწავლე ახალგაზრდობაში, ამას მიზეზი უნდა ვეძიოთ მოზარდი თაობის მგრძნობიარობის სიჭარბეში და იმ გარემოებაშიაც, როგორც ზემოდ მქონდა აღნიშნული, რომ სკოლა წარმოადგენს გადამეტებულ სურვილთა და გულის თქმათ შუაგულს, რომელნიც დამახასიათებელ თვისებად ჩაითვლება თანამედროვე ცხოვრების საზოგადოებრივ მიმდინარეობისა.

მაგრამ თუ თავის კვლის მიზეზები სკოლის გარეშე ამგვარია, თუ ამ მოვლენისთვის არ არის უცხო პატოლოგიური მიზეზები, ყოველ შემთხვევაში, არც სკოლასა და არც მშობლებს უფლება არა აქვთ მოიხსნან პასუხისმგებლობა იმისა, რომ ეს ტრაგიკული დასასრული ახალგაზრდის ცხოვრებისა უმეტეს შემთხვევაში მოულოდნელია და თავის კვლას წინ უძღვის სულის განცდანი და გრძნობანი; ბრძოლა ახალგაზრდის სულისა შეუმჩნეველი რჩება მათთვის, ვინც მოწოდებულნი არიან მის აღსაზრდელად და მზრუნველად.

ამ შემთხვევაში ბავშვთა მშობელნი ვერა სდგანან ამ სამწუხარო მოვლენათა მიზეზების ნათელ და შეგნებულ სათანადო სიმაღლეზე. მშობლები ამ გვარ მოვლენებს ჰხსნიან წმინდა ეპიზოდურ მიზეზებით. ამ მხრივ, სკოლასა და მშობელთა მჭიდრო ურთიერთობის შექმნით, მასწავლებელთა პერსონალს ევალება შეიმუშაონ მშობლებს და მათის მეგობრულად დახმარებით იმუშაონ ახალგაზრდობის აღსაზრდელად, განავითარონ მათში მხნეობა, სიჩაუქე, შეამცირონ და დააცხრონ გადაჭარბებული ლტოლვილება ცხოვრების კეთილ-დღეობისაკენ, რომელიც ასე დამღუპველად ჰმოქმედებს ამ გვარ მოვლენაზე.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 821.

# სასამართლო

**გორის ხაზინის ქვეშ თხრილის გამყვანთა საქმე.**

ტფ. სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის განყოფილებამ 12 თებერვალს განიხილეს საქმე: **მიხეილ ლორთქიფანიძისა, თავ. დიმიტრი მაყაშვილისა, ბესარიონ გენელიძისა, პორფირე შენგელიასი და მარიამ ჩიტიშვილისა,** რომელთაც ბრალდებოდათ გორის ხაზინის გაძარცვის განზრახვით ხაზინის ქვეშ თხრილის გაყვანა.

საბრალმდებლო ოქმის მიხედვით საქმის გარემოება ასეთია: 1909 წლის 23 აპრილს ქალაქ გორში, ხაზინის ეზოში მყოფ დარაჯს მუსტა სალახედინოვს ეზოს აღმოსავლეთის მხრიდან მოესმა ხმაურობა მიწის ქვეშიდან. დარაჯმა ეს ამბავი უფროს ბუჰჰალტერს შათუნოვს აცნობა. უკანასკნელი დარწმუნდა თუ არა, რომ ხაზინის საწყობის ქვეშ მიწაში რაღაც საეჭვო ხმაურობა და მუშაობაა, ადგილობრივ მაზრის უფროსს თავ. ვახვახიშვილს მიჰმართა და სთხოვა ზომები მიეღო. მაზრის უფროსმა ყარაულ დარაჯების და პოლიციელებით ალყა შემოარტყა იმ ადგილს, და განსაკუთრებით ხაზინის პირდაპირ მდებარე ისაკ გულიშამბაროვის სახლს, რომელიც ეკვს იწვევდა. ამ სახლის ფანჯრის დარაბები შიგნიდან დახურული იყო და ტალახით გასვრილი. სახლში პოლიციელებმა საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს. მხოლოდ ყველა კარი, რომელიც ეზოს აივანში გადიოდა, ჩაკეტილი იყო. პოლიციამ მოითხოვა კარების გაღება და შევიდა. პირველ ოთახში აღმოჩნდა ოთხი კაცი და ერთი ქალი. ერთი კაცი მჭვრით შარვალს იწმენდდა. მეორე ოთახში აღმოაჩინეს მთელი ყუთი საზეინკლო იარაღებისა, აქვე ეყარა აუარებელი ქვა, მიწა და სილა, რომელიც მთელ ოთახს ავსებდა გარდავალს გასავლისა საკუჭნაოში. მაზრის უფროსის შეკითხვაზე, თუ ვისი ნამუშავარია ეს, იქ მყოფთ უპასუხეს: „რასაკვირველია ჩვენი“. ამიტომ ყველანი დააპატიმრეს. იმათ დაასახელეს: 1) მელქისედეკ ლორთქიფანიძე, 2) გიორგი ქუთათელაძე, 3) გიორგი შენგელია, 4) თავ. დიმიტრი მაყაშვილი და ქალი მარიამ ჩიტიშვილი.

ოთახების დათვალიერების დროს მაზრის უფროსის ყურადღება მიიქცია ხვრელმა საკუჭნაოში, რომლის ახლო ფანარი იდგა. ორი ჯარის-კაცი ხვრელში ჩავიდა და დაათვალიერა. აღმოჩნდა, რომ ეს ხვრელი იყო მიწის ქვეშ გაკეთებულ თხრილში შესასვლელი, რომელიც ქუჩის ქვეშ გადიოდა და ხაზინის საწყობის ქვეშ თავდებოდა. თხრილი 16 საჟენზე იყო გაყვანილი. თხრილში იყო მილი და საბერველი ჰაერის მოძრაობისათვის. სახლის პატრონმა გულიშამბაროვმა განაცხადა: თხრილის შესახებ არაფერი არ ვიცი, მხოლოდ 1909 წელს ვიღაც უცნობი მოვიდა და სახლი 300 მანეთად იქირავა, შემდეგ კი რა ხდებოდა არ ვიციო.

დაპატიმრებულებმა გულახდით აღიარეს, რომ თხრილი ჩვენი გაკეთებულია და ხაზინის გაძარცვა გვინდოდაო. მარიამ ჩიტიშვილისამ კი დანაშაული არ აღიარა და განაცხადა: მე მოსამსახურედ ვიყავ, სადილს უმზადებდიო. და ხაზინის გაძარცვის განზრახვაში არავითარი მონაწილეობა არა მაქვსო.

ტფ. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ სცნო ყველანი და მიუსაჯა: სოფ. გორდის (ქუთაისის გუბ.) მცხოვრებს ბესარიონ სიმონის ძე გენელიძეს (პირველად ქუთათელაძე დაასახელა), სოფ. ცხენკურის (ქუთაისის გუბ.) მცხოვრებს მიხეილ პირამონის ძე ლორთქიფანიძეს და სოფ. იყალთოს (თელავის მაზრა) მცხოვრებს თავ. დიმიტრი დავითის ძე მაყაშვილს ყოველი ღირსების აყრა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ხუთ-ხუთის წლით. სოფ. კულაშის (ქუთ. გუბ.) მცხოვრებს პორფირე იაკობის ძე შენგელიას—ოთხი წლის ციხე. დუშეთის მაზრის, სოფ. ახლოუთაარის მცხოვრებ მარიამ ზაქარიას ასულს ჩიტი-

64
ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილისას—ღირსების ახდა და სამ ნახევარი წლით დაპატიმრება.

ოლქის სასამართლოს განაჩენი ბრალდებულთ განასაჩივრეს სასამართლო პალატაში.

პალატას თავმჯდომარეობდა ბ-ნი ჩეხოვსკი, წევრებად იყვნენ ბ-ნნი იონინი და უთნელიშვილი.

ბრალდებულთ პალატაში იცავდნენ: მარიამ ჩიტიშვილს ნაფ. ვექ. ტურკევიჩი; დანარჩენთ ნაფ. ვექ. ანდრეევი და კატინიანი.

ბრალმდებელის თანაშემწე იმ აზრის იყო, რომ ოლქის სასამართლომ ზოგიერთ ბრალდებულთა შესახებ შესაფერი კანონი არ შეუფარდა. მხოლოდ თხოვნა, რომ ციხეში წინასწარი ჯდომა ჩაეთვალოთ ბრალდებულთ, უყურადღებოდ უნდა იყოს დატოვებული.

ნაფ. **ვექ. ტურკევიჩი.** ჩიტიშვილის ქალი მხოლოდ მოსამსახურე იყო, და მონაწილეობის მიღებისათვის კი არ უნდა განსაჯოთ, არამედ იმიტომ რომ პოლიციას არ აცნობა. თუ ისეთ გზას დავადექით როგორც ოლქის სასამართლო, მაშინ სამართალში უნდა მისცეთ ის ვაჭრებიც, რომელნიც სანოვაგეს აძლევდნენ მათ. ნაფ. ვექილი თხოულობს ჩიტიშვილს სასჯელი შეუმსუბუქონ.

ნაფ. ვექ. **კატინიანი და ანდრეევი** თხოულობენ ბრალდებულთ წინასწარი ჯდომა ჩეთვალოთ.

სასამართლო პალატამ ლორთქიფანიძეს, მაყაშვილს და გელენიძეს თითო წელი დაუკლო, ე. ი. ოთხ-ოთხი წელი მიუსაჯა და ჩაუთვალა საპყრობილეში ჯდომა ოლქის სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ. შენგელიას ოთხი წლის მაგიერად 3 ნახევარი წელი მიუსაჯა. ჩიტიშვილისას კი სამი წლის ციხე და ორი წელი წინასწარი ჯდომა ჩაუთვალა.

# ქუთაისის თავად-აზნაურთა არაჩვეულებრივი კრება

**9 თებერვალს.**

კრებას განსახილველი ჰქონდა ფინანსთა მინისტრის წინადადება, რომ ქართულ გიმნაზიას შეიძლება მიეცეს 20,000 მანეთი თავად-აზნაურობის იმ თანხიდან, რომელიც ბანკისაგან აქვს მისაღები, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად-აზნაურობა ბანკის მიერ გაღებულ სარგებელს ქართულის გიმნაზიის ვალში, დაახლოვებით 40 ათას მანეთს, თავის თავზე მიიღებს და ამ ფულს მოიკლებს ზემოხსენებულ თანხიდან.

თავად-აზნაურობა ბანკისაგან მისაღებ ფულს დიდის სიფთხილით ეკიდება და ამიტომ საფიქრებელი იყო, რომ მინისტრის წინადადებას არ შეასრულებდა. მაგრამ მხედველობაში მიიღეს უკიდურესი მდგომარეობა ქართული გიმნაზიისა და მისი სენაკის განყოფილებისა და თითქმის ერთ-ხმად გადასწყვიტეს მინისტრის წინადადების მიღება ამ სახით წრეულობით მაინც დაკმაყოფილდება ქართული გიმნაზიის საჭიროება და შემდეგ, უეჭველია, ბანკის მოგებიდან დააკმაყოფილებენ.

ბანკთან დაახლოვებული პირები იმასაც-კი ამბობენ, რომ მომავალი წლიდან ბანკის მდგომარეობა იმდენად გაუმჯობესდება, რომ შესაძლებელი შეიქნება არა თუ გიმნაზიის საჭიროების დაკმაყოფილება, არამედ თავად-აზნაურობის თანხის თან და-თანი შევსებაც.

კრება მსჯელობა იქონია იმაზედაც, რომ ბანკის მოგების განაწილება თავად-აზნაურთა კრებას მიჰნდობოდა, როგორც ეს ტფილისშია, მაგრამ ამ საგანზე მსჯელობა გადაიდო ჩვეულებრივი კრებისათვის.

წინამძღოლთა და დეპუტატების დადგენილება, რომ პეტერბურგში მიმავალმა დეპუტაციამ იშუამდგომლოს იმ მოსწავლეთა შესახებ, რომელნიც ქართულ გიმნაზიაში პირდაპირ მეშვიდე კლასში შესულან და ამით დაუკარგავთ უფლება ამავე გიმნაზიაში სიმწიფის მოწმობის მიღებისა, თ-დი დავით ნიჟარაძის წინადადებით კრებამ არ დაამტკიცა და ამ საქმის მოწესრიგება დაევალა სახელმწიფო საბჭოს წევრს თ-დ ანდრია ერისთავს. საზოგადოდ ორატორთა სიტყვებიდან ის აზრი გამოსჭვიოდა, რომ ვინაიდან პეტერბურგში მიმავალი დეპუტაცია იგზავნება კრების დაუკითხავად, მის არსებობას და მოქმედებას კრება ანგარიშს არ უწევსო.

წინამძღოლებისა და დეპუტატის დადგენილება, რომ თავად აზნაურთა მდივანი პეტერბურგს გაჰყოლოდა, კრებამ არ შეიწყნარა. ამის მაგივრად მდივნის გაგზავნა პეტერბურგში ასე დაასაბუთეს: რადგანაც გუბერნიის წინამძღოლს პირადი მდივანი არა ჰყავს, თავად-აზნაურთა მდივანი გავაყოლოთო.

კრებამ ერთხმად მიიღო წინამძღოლთა და დეპუტატების წინადადება, რომ სადაც ჯერ არს შუამდგომლობა აღიძრას თ-დ მელიტონ და ვლადიმერ მიქელაძეებს დაუბრუნდეს თავისი ვალით მამული, რომელიც დარჩა სახელმწიფო ბანკს. შემდეგ ამისა კრება დაიშალა.

# სამოქმედო გეგმა ქართლის აგრონომისა

(დასასრული *)

რაც შეეხება საქონლისათვის საკვებ მასალის გავრცელებას, მე ვაპირობ მოწყობას ბალახის თესვას—მხოლოდ უგრეხელისა ქერთან ერთად სათივედ და არა სამარცვლოდ, სტაფილოს, ჭარხალს და გოგრას, რომელიც ეხლა ცოტ-ცოტა მოჰყავს ხალხს.

ღორის მოშენების დასახმარებლად საჭიროა კულტურულ ღორის სისხლით გამოკეთება ჩვენებურ ღორისა. საუკეთესოდ იქნებოდა იორკშირი, რაიც უკვე ნაცადია: ტახი ღორების დაყენება საჭიროა გომში ღ ბრეთში.

საჭიროებს დახმარებას **მერძეობაც.** ერთ-ერთს ფირმისაგან მე ცნობა მივიღე, რომ სეპარატორს დამითობენ იმ პირობით, რომ გაყიდვისას ფულს გადავიხდი. ეს პირობა მე მივეცი. სეპარატორის შესაშველებლად განზრახული მაქვს ყიდვა სადღვებელი „აკმე"-სი. აგრეთვე საჭიროდ მიმაჩნია ყველის ღირსების გამოსაკეთებლად უკეთესი დვრიტის დარიგება უფასოდ, რათა ხალხმა ნახოს განზნენის სიავკარგე;

არსებულ საკვების უფრო სარფიანად გამოსაყენებლად საჭიროა სიმინდის ნაქუჩიანად დაროშვა საგანგებო მანქანით და ჩალის დაჭრა-დაკუწვა „შრედერით".

**კოოპერაცია.**

აგრონომმა თავის მუშაობის დროს უეჭველად ადგილობრივი ელემენტები უნდა ამოიყენოს მხარში. უამისოდ მისი მეცადინეობა ფუჭი იქნება. მეურნეთა ორგანიზაციების შეკავშირებას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. ამჟამად დაარსებულია უკვე 3 კავშირი: ალში მომხმარებელი საზოგადოება, ორიც წვრილი ს. ს. ს. ამხანაგობა—ერთი საქაშეთში, მეორე ბრეთში.

**ს. სამეურნეო კითხვები.**

ამ ზამთარს ვაპირებ ლექციების მოწყობას სოფ. გომში, წრომში, სატივეში, ოსიაურში, ვაყაში, აძვისში, თამარშენში, ცეროვნისში, ავლევში, მოხისში, ბრეთში, წვერში, საქაშეთში, რუისში და ქარელში.

**საუბრის საგანი:** 1) გუთანი, მისი არჩევა, ხმარება და მომართვა, 2) თესლის გაკეთება მანქანით, სად და როგორ შეიძინოს გლეხობამ მანქანები, 3) სიმინდის თესლის გადარჩევა და შენახვა, 4) მანქანით პურის და სიმინდის თესვა, 5) ჩვენი მუშაობა წრეულს, 6) წვრილი ს. ს. ს. ამხანაგობა და მისი დაარსება.

მეაბრეშუმეობისათვის ჯერ-ჯერობით საჭიროა თუთის ნერგის დარიგება ხალხში და როცა ადგილობრივ გამოჩნდება საკვები ჭიისა, მაშინ შეიძლება ვიზრუნოთ მის გაჩენაზე.

**ხარჯთ-აღრიცხვა**

**ხვნა-თესვა.**

| | |
|---|---|
| ეკკერტის გუთანი კორდის სათლელით | 36 მ. |
| გოვარდისა | 70 „ |
| რანსომისა | 85 „ |
| საკისეული ექსტირპატორი № 14 | 42 „ |
| ეკერტის სამ-სახნისიანი | 42 „ |
| საკისეული ფარცხი | 32 „ |
| სათესი მანქანა 11 მწკრივიანი | 165 „ |
| 2 ცხენის მათოხი | 50 „ |
| 2 სიმინდის საცეხვი, გელფერიხ სადესი | 72 „ |
| 1 სიმინდის ნაქუჩიანად საროში დენის | 100 „ |
| შრედერი, ჩალის დასაკუწად | 100 „ |
| სულ | 794 მ. |

**პურის გასაკეთებელი პუნქტი**

| | |
|---|---|
| 1 გეიდის პურის საკეთებელი კლ. V № 2 | 214 მ. |
| ძმ. რებერთა „ტრიუმფი" № | 62 „ |
| სულ | 276 მ. |

**ლექციების კითხვა.**

| | |
|---|---|
| წვრილი ხარჯები (ბადეები, სპირტი) | 25 მ. |

**თესლეულობა.**

| | |
|---|---|
| უგრეხელი 15 ფუთი | 25 მ. |
| გოგრა 2½ ფუთი | 10 „ |
| სტაფილო 1 ფუთი | 45 „ |
| საკვები ჭარხალი 3 ფუთი | 72 „ |
| საქონლისა 5 ფუთი | 90 „ |
| სიმინდი ლიმინგი 2 ფუთი | 6 „ |
| ამერიკული ტკბილი 3 ფუთი | 9 „ |
| ბამბის კურკა ½ | 1 „ |
| კომბოსტოს თესლი 10 გირ. | 10 „ |
| პამიდორი „ 1 გირ. | 1 „ |

*) იხ. „სახ. გაზ." № 821.

**მეაბრეშუმეობა.**

| | |
|---|---|
| 1000 ნერგი თეთრი თუთის | 30 მ. |

**მერძეობა**

| | |
|---|---|
| სადღვებელი „აკმე" | 18 მ. |
| წვრილი ხელსაწყო | 17 „ |
| დვირტა ყველისა | 10 „ |
| სულ | 35 მ. |

**საქონლის მოშენება**

| | |
|---|---|
| 2 წლის ხბო | 120 მ. |
| მათი შენახვა-მოვლა | 200 „ |
| ორი ტახი ღორი | 400 „ |
| მათი მოვლა | 80 „ |
| მოსამსახურე | 300 „ |
| სულ | 1100 მ. |

**აგრონომის პუნქტი.**

| | |
|---|---|
| მოწყობა აგრონომიულ პუნქტისა (ბიბლიოთეკა, სახვენებელი კოლექციები და სხვა) | 50 მ. |
| საკანცელარიო ხარჯი | 50 „ |
| საფოსტო | 25 „ |
| სადგომის ქირა | 300 „ |
| მოსამსახურე | 300 „ |
| მოულოდნელი ხარჯები | 100 „ |
| მანქანების გადატანის ხარჯი | 150 „ |
| სულ | 975 „ |
| **სულ** | **3513 მ.*)** |

(„მოსავალი").

**ელ. კარბელაშვილი.**

# დიდი ლილოს საკრედიტო ამხანაგობა

2 თებერვალს მოიდა დიდი ლილოს საკრედიტო ამხანაგობის წლიური საზოგადო კრება. გარდა წევრთა უმრავლესობისა, კრებას დაესწრნენ ამხანაგობის საპატიო მზრუნველი ბ-ნი დ. ვაჩნაძე და კავკ. სამეურნეო საზოგ. აგრონომი ბ-ნი მარქარიანი. კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა ამხანაგობის წევრი, ქართული სამეურნეო საზოგადოების ინსტრუქტორი ბ-ნი ალ. კაბულაძე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელის თაოსნობით და ხელმძღვანელობით დაარსებულა ეს ამხანაგობა ამ სოფელში 1011 წლის მარტიდან. როგორც გამგეობის მიერ წარმოდგენილ გასულ წლის ანგარიშიდან სჩანს, ამხანაგობას სახელმწიფო ბანკიდან სესხად ჰქონია მიღებული 1000 მან. ძირითადი თანხა და 4000 მან. მოკლევადიანი საალებ-მიცემო თანხა. გარდა ამისა, გასულ წლის დამდეგს ჰქონია:

| | |
|---|---|
| 1) საკუთარი ძირითადი თანხად | 28 მ. 67 კ. |
| 2) სათადარიგო თანხად | 45 მ. 18 კ. |
| 3) არა საიმედო გაცემულ სესხის დასაფარავად | 14 მ. 33 კ. |
| სულ | 88 მ. 18 კ. |

უნდა აღინიშნოს, რომ ამხანაგობის საზოგადო კრების დადგენილებით იმ თავიდანვე ყოველი წევრი გახსნილ კრედიტის ყოველ მანეთზე იხდის კაპეიკს სათადარიგო თანხის გასადიდებლად. ამიტომ არის, რომ სათადარიგო თანხას გადაუჭარბებია საკუთარ ძირითად თანხისათვის. საანგარიშო წლის განმავლობაში ამხანაგობას შემატებია 20 ახალი წევრი, ასე რომ წლის ბოლოს 162 წევრი ჰყოლია. უადგილო არ იქნება აღინიშნოს, სოფ. დიდი ლილო სულ 150 კომლ. შესდგება, მთელ რაიონში კი, რომელზედაც დ. ლილოს წვრილი კრედიტი თავის მოქმედებას ავრცელებს (დ. ლილო, პ. ლილო, ოლგინსკი და ალექსეევკა), არა უმეტეს 300 კომლისაა. სესხი გაცემულია საანგარიშო წლის განმავლობაში 217-ჯერ, სულ 6747 მან. 80 კ., აქედან 83 შემთხვევაში სულ 3138 მ. 50 კ. გაუტანიათ სხვა-და-სხვა შინაური საქონლის შესაძენათ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც საქონელი, განსაკუთრებით ძროხა, ერთ თვალსაჩინო შემოსავლის წყაროთ გადაექცა ადგილობრ მეურნეს აქ მერძევეთა კოოპერატ. ამხან. დაარსების შემდეგ. 43 შემთხვევაში სულ 1477 მან. სესხად გაუტანიათ და სხვა-და-სხვა სამიწათ-მოქმედო იარაღებისა და მუშების დასაქირავებლად. დანარჩენ 90 შემთხვევაში სულ 2286 მან. 30 კ. გაუტანიათ სესხად სხვა-და-სხვა წვრიმალი მიზნებით.

მოგება და სარგებელი საანგარიშო წლის განმავლობაში ამხ. ჰქონია სულ 479 მან. 67 კ., აქედან ამხანაგობას დახარჯვია სულ 283 მ. და 28 კ., მათ შორის 80 მანეთი საქმისა და ანგარიშის მწარმოებელს. წმინდა მოგება წლის ბოლოს ამხანაგობას დარჩენია 196 მ. და 61 კ. შემდეგ ამ ანგარიშის მიღებისა და დამტკიცებისა, კრებამ გამგეობის წინადადებით ამხანაგობის წმინდა მოგება 196 მან. და 61 კ. გაანაწილა ამნაირად:

| | |
|---|---|
| 1) 40% საკუთარ ძირითად თანხისათვის | 78 მ. 65 კ. |
| 2) 20% სათადარიგო თანხისათვის | 39 „ 32 „ |
| 3) 20% საამშენებლო თანხაში საკუთარ შენობის შესაძენად | 39 „ 32 „ |
| 4) 10% საქონლის დასაზღვევ ფონდში | 19 „ 66 „ |
| 5) 10% საგანმანათლებლო მიზნით | 19 „ 66 „ |
| სულ | 196 მ. 61 კ. |

ასე რომ მიმდინარე წელს ამხანაგობას აქვს:

| | |
|---|---|
| 1) საკუთარი ძირითადი თანხა | 107 მ. 30 კ. |
| 2) სათადარიგო თანხა | 154 „ 92 „ |
| 3) უიმედო გაცემულ სესხის დასაფარავად | 14 „ 33 „ |
| 4) საამშენებლო ფონდში | 39 „ 32 „ |
| 5) საქონლის დასაზღვევ ფონდში | 19 „ 66 „ |
| სულ | 335 მ. 53 კ. |

კრებამ აგრეთვე დაამტკიცა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა 140 მან., აქედან 20 მ. დაუნიშნა საქმისა და ანგარიშის მწარმოებელს, 10 მ. გადასდო საფოსტო და სხვა და სხვა წვრიმალი ხარჯებისათვის; დანარჩენ 10 მანეთით გამგეობის წინადადებით დადგენილ იქმნა გამოეწეროს ამხანაგობას „მოსავალი", „Вѣстникъ мелкаго кредита", „შრომის კავშირი" და „კოოპერაცია".

დასასრულ ჯერი მიდგა თანამდებობის პირთა არჩევნებზე. კრებამ აირჩია ი. თიგიშვილი გამგეობაში და პავლე ზვერიოვი (ოლგინსკელი რუსი) საბჭოში. ამნაირად ამ ჟამად ამხანაგობის სათავეში დგანან: ნ. კავთელაძე (გამგ. თავმჯდომარე), ს. ბაგაშვილი და ილო ტიგიშვილი (წევრები). პ. ზვერიოვი (საბჭოს თავმჯდ.), გიორგი გეგიაძე და გიორგი არსოშვილი (წევრები), რომელთაც უსურვებთ ნაკისრებ მოვალეობის პირნათლად შესრულებას.

**ს. ე—ვა.**

P. S. იმავე საღამოს საკრედიტო ამხანაგობის ხელმძღვანელთა ჯგუფმა ადგილობრივ მასწავლებლის თანადასწრებით დაადგინა: იმ 19 მ. 66 კ., რომელიც გადაიდო საგანმანათლებლო მიზნით, გამოეწეროს ორ არსებულ სკოლებს (სამრევლო და სამინისტრო) „განათლება" და „ნაკადული"—8 მან.

9 მან. მიეცეს ადგილობრივ სამინისტრო სკოლის სხვა და სხვა სასწავლო ნივთების შესაძენად. დანარჩენ 2 მ. და 66 კ. შეძენილ იქმნას პატარ-პატარა საყმაწვილო წიგნაკები მოწაფეებისათვის დასარიგებლად.

**ს. ე.**

*) საბჭომ განიხილა ეს ხარჯთ-აღრიცხვა და საქონლის მოშენებაზე ხარჯი სრულებით ამოშალა, ხოლო დანარჩენ დარიგებისათვის კი შემცირა ისე, რომ მთელი ჯამი შეადგინა 995 მან.

**რედ.**

# სხვა და სხვა ამბავი

**სტუდენტი-ჯაშუში.** ოდესის სამკურნალო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი დაინი, რომელსაც სტუდენტებმა ბოიკოტი გამოუცხადეს, ოხრანაში თანამშრომლობდა.

ეხლა დაინი აპირებს, თურმე, თავის მართლებას და „ოხრანიკი" ვაკულინის (რომელმაც გამოამჟღავნა მისი ჯაშუშობა), სამართალში მიცემას.

ვაკულინმა წარადგინა დასაბუთებული ცნობები, რომლებითაც მტკიცდება, რომ დაინი აწვდიდა პოლიციას ცნობებს სტუდენტთა პოლიტიკური „საიმედობის" შესახებ.

სხვათა შორის დაინს, როგორც საუნივერსიტეტო ოხრანის აგენტს, ეძლეოდა თურმე ყოველ დღე 2 მანეთი, იმ რესტორანში სასიარულოდ, სადაც იკრიბებოდნენ სტუდენტები. ეს ხარჯი შეტანილი ყოფილა უნივერსიტეტის შემოსავალ-გასავალის დავთარში.

სახელმწიფო სათათბიროს მერვე ნაწილმა, ვარშავის არჩევნების საქმე განიხილა და უკანონოდ იცნო. ოპოზიციამ აღნიშნა, მართალია არჩევნების დროს ბევრი უკანონობა ჰხდებოდა, მაგრამ მაინც შეუძლებელია მარტო ვარშავის დეპუტატის იაგელლოს არჩევანი ჩავთვალოთ უკანონოდ. თუ უკანონობაზე მიდგა საქმე, მთელ პოლონეთის არჩევნები უნდა გააუქმოთო.

# ამბოხება ოსმალეთში

**დეპეშები.**

12 თებერვალი.

**ბუქარესტი.** სტამბოლიდან იუწყებიან: ერთობა-პროგრესის კომიტეტის მოწინააღმდეგეთა ოფიცრების დიდი უმრავლესობა პოლიტიკაში ჩარევის გულისათვის სამსახურიდან დაითხოვეს. პორტას გაძლიერებული პოლიცია იცავს. ქალაქ ესკიშეხრეში ომში გასაგზავნი ჯარისკაცნი აჯანყდნენ. ისინი ახალ მთავრობის წინააღმდეგ უკმაყოფილებას აცხადებდნენ.

არაბეთის ჯარი, რომელიც სუსხიან ზამთრის გამო გალიპოლშია, ფრიად შესწუხდა, იზმიდში გადაიყვანეს.

პორტას ატყობინებენ, რომ ალბანეთში გაგზავნილი ჯავერ-თაიარი, რომელსაც სერბიელების წინააღმდეგ აჯანყება უნდა მოეხდინა, კომიტეტის მოწინააღმდეგე ჯარის-კაცების მიერ მოკლულ იქმნა.

# ბალკანეთის ომი

**დეპეშები.**

12 თებერვალი.

**ლონდონი.** რეიტერის ცნობით, მოკავშირეთა მოთხოვნილებანი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რომდის მოითხოვს ოსმალეთი ზავის ჩამოგდებას. გაჭიანურების ასაცილებლად ხელშეკრულება, ბრძოლის ველზე იქნება ხელმოწერილი. მოკავშირენი საომარ ხარჯის ანაზღაურებასაც მოითხოვენ. ბულგარეთი ამბობს, რომ ეს მოთხოვნილება სამშვიდობო კონფერენციაზე იმისთვის არ იყო წარდგენილი, რომ საამისო შემთხვევა არა ყოფილაო. წინასწარ ხელშეკრულების უეჭველპირობად იქნება რომ მოპირდაპირებმა თავთავისი ჯარი დაქსაქსონ.

**სოფია.** საბერძნეთის მიტროპოლიტებმა ჩათალჯიდან და ჩორლუდან დეპეშა გაუგზავნეს სავოვს, რომ ოსმალთა ბარბაროსობისაგან შევიწროვებულნი ქრისტიანი ჩორლუში თავს იფარავენ. არავითარი სახსარი არსებობისა არ მოეპოვებათო. სავოვმა ჯარის უფროსებს უბრძანა მზრუნველობა გაუწიეთ ოსმალთა ბარბაროსობის მსხვერპლთაო.

**ბუქარესტი.** მიუხედავად იმ ცნობისა, რომ ადრიანოპოლის დაცვის საქმე ჩინებულად არის დაყენებული, ცნობა მოვიდა, რომ შუქრი-ფაშა სურსათის გამოლევას ჩივისო. ჯარის-კაცნი აღარ ემორჩილებიან დისციპლინას, ქალაქის ქუჩებში დაეხეტებიან და კერძო ბინებზე იღებენ საზრდოსო. მცდარია ის ცნობაც, ვითომც უცხოელები რჩებოდნენ ადრიანოპოლის საეტრალო უბანში დარჩენას.

**გაზეთებიდან.**

**მეომართა მდგომარეობა.**

ჩათალჯასა და გალიპოლის ნახევარკუნძულზე მდგომარეობა არ შეცვლილა. უკანასკნელ დღეებში ცუდი ამინდი დაიჭირა: სიცივე და ქარბუქი ხელს უშლის ჯარის მოქმედებას. ბულგარელებს ისეთი ადგილები უჭირავთ, რომ ოსმალებისაგან იერიშის მიტანა უაზრობა იქნებოდა.

**ადრიანოპოლის ალყა.**

სტამბოლიდან მოსულ ცნობით, ადრიანოპოლის გარშემო მყუდროებაა. ბულგარელები საერთო იერიშისთვის ემზადებიან. ქალაქში ყოველ-დღე ცვივა ბულგარებისაგან ნასროლი ყუმბარები.

**უცხოელები ადრიანოპოლში.**

დიდმა სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს ურჩიონ ოსმალეთს, რათა მან ხელი არ შეუშალოს ციხიდან ევროპიელ კონსულებისა და უცხოელების გამოსვლას.

# ბალკანეთი და ევროპა

**დეპეშები.**

12 თებერვალი.

**ვენა.** საზღვაო ძალთა უფროსი მონტეკუკოლი თვის თხოვნისამებრ თანამდებობიდან გადააყენეს. მის ნაცვლად დაინიშნა ვიცე-ადმირალი ხაუსი.

**პარიზი.** პუანკარემ საზეიმო აუდენციაზე მიიღო ელჩი იზვოლსკი და გარეშე საქმეთა სამინისტროს კანცელარიის უფროსი ბარონ იშელინგი. იზვოლსკიმ გადასცა პუანკარეს ხელმწიფე იმპერატორის მიერ ბოძებული ანდრია პირველწოდებულის ორდენი. ამასთანავე იზვოლსკიმ გადასცა პუანკარეს ხელმწიფე იმპერატორის ღრმა პატივისცემა და საფრანგეთთან მეგობრულ ურთიერთობის განმტკიცების სურვილი. პუანკარემ ულრმესი მადლობით განუცხადა რუსეთის ელჩის პირით ხელმწიფე იმპერატორს მჭიდრო კავშირის დამკვიდრების სურვილი და მისდამი პატივისცემა.

**გაზეთებიდან.**

**კონტრიბუციის საკითხი.**

ბულგარეთის მთავრობამ თავის ელჩებს დაუგზავნა ოფიციალური განცხადება, რომელშიაც განსაზღვრულია რაოდენობა იმ საომარი გადასახადისა, რომელიც ოსმალეთმა უნდა უზღოს ბულგარეთს.

**სკუტარის ბედი.**

ჩერნოგორიის რწმუნებულმა პოპოვიჩმა განუცხადა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს გრეის, რომ ჩერნოგორიისაგან ომის დაწყების მიზანი სკუტარის დაპყრობა იყო და არის, ამიტომ ჩერნოგორია არაოდეს ხელს აიღებს ამ ქალაქზეო.

**სერბია ჩერნოგორიას ემხრობა.**

„რეიტერის სააგენტოს" ცნობით, სერბიის წარმომადგენელმა ედუარდ გრეის გადაჭრით განუცხადა, რომ სერბია სამართლიანად სთვლის ჩერნოგორიის მიერ სკუტარის მოთხოვნას და ამიტომ ბელგრადის მთავრობა მხარს დაუჭერს ჩერნოგორიას ამ ქალაქის მისაკუთრების საქმეშიო.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

12 თებერვალი.

**საზღვარ-გარედ**

**ლონდონი.** სუფრაჟისტების მიტინგმა, რომელზედაც თავმჯდომარედ უნდა ყოფილიყო პანკგორსტი, მღელვარედ ჩაიარა. პანკგორსტის შეპყრობის ცნობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია. ყვირილი, ყიჟინა და პროტესტები ხელს უშლიდნენ მოლაპარაკეებს. დღისით სუფრაჟისტებმა რამდენჯერმე უწესოება მოახდინეს.

**პარიზი.** ჩინებულად ჩაიარა რუს მომღერალ-ქალის აკცერის კონცერტმა. აუარებელი ხალხი დაესწრო.

**ელპაზო.** მოკავშირეთა ჯარში დახვრიტეს 90 მოხალისე, რომელთაც მადეროს მკვლელობის გამო პროტესტი განაცხადეს.

**ლონდონი.** გაზეთები სავსეა სუფრაჟისტების საომარ მომზადებისა და გერმანიის ჰაერის ფლოტის მოსალოდნელ უეცრივ თავდასხმის ცნობებით. სუფრაჟისტებთან საბრძოლველად სასტიკ ზომების მიღებას აპირებენ.

კაპ. სკოტის ქვრივს, ქმრის დამსახურების გამო, მიანიჭეს ლედის ხარისხი.

**ლვოვი.** აკრძალულია უკრაინელთა რაზმების დაარსება. ამის მიზეზი სახელმწიფოსათვის რაზმთა მავნებლობაა.

**ბუდაპეშტი.** სახალხო განათლების მინისტრი ზიჩი თანამდებობიდან გადადგა. მან პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: სანამ დარღვეული არ იქნება ოპოზიციის ბრალდებანი ლუკაჩზე, შეუძლებლად მიმაჩნია თანამდებობაზე დავრჩეო.

**ლონდონი.** სამხრეთ პოლიუსის მხარის მკვლევარმა მოუსონმა ნებართვა სთხოვა მეფეს მის მიერ ახლად აღმოჩენილს მხარეს, რომელიც იმყოფება ვიქტორისა და ადელადის შორის, სახელად უწოდოს „მიწა გიორგი მეხუთისა".

ფრანგი მფრინავი ბრენ-დე-ჟონკდე-მულინე პარიზიდან ლონდონში 4 ნახევარ საათში გადაფრინდა.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** გუბერნატორთა თათბირმა საპოლიციო რეფორმის პროექტის განხილვა დაასრულა.

**პეტერბურგი.** აპირებენ საპენსიო წიგნაკების ვადის გაგრძელებას ორ წლამდე. სასურველად მიიჩნიეს პენსიონერებს პენსია ადგილობრივ ეძლეოდეთ.

მართლმადიდებელ სარწმუნოების უწყებამ შეიმუშავა სამრევლო სკოლების ინსპექციის ნივთიერ გაუმჯობესობის პროექტი. პროექტს მალე წარუდგენენ მინისტრთა საბჭოს.

**მოსკოვი.** ბირჟის ვაჭრებმა რომანოვთა საგვარეულოს დღესასწაულის აღსანიშნავად გადასდეს ნახევარ მილიონი მანეთი. ამ ფულით დაარსდება ქარხნებში დაშავებულ მუშათათვის საავადმყოფოები.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** დღეს, 14 თებერვალს, ქართული დრამატიული დასი დამსახურებულ მსახიობის **ქ. დ. ყიფიანის მონაწილეობით** წარმოადგენს ცნობილ ისტორიულ დრამას „და-ძმა"-ს. ოტია-ჯოლის როლს კოტე ყიფიანი შეასრულებს.

**ზუბალაშვილების სახალხო სახლი.** დღეს, 14 თებერვალს, მორიგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სახალხო წარმოდგენა არ იქნება, რადგანაც ქართ. სახ. წარ. მმართ. წრეს გარკვეული რეპერტუარი აქვს „ლალატი“-ს მოსამზადებლად, რომელიც იქნება წარმოდგენილი 19 თებერვალს „წრის“ თანხის გასაძლიერებლად. პიესაში მონაწილეობას იღებენ დამსახურებული მსახ. ქ. ყფ. მესხი და ბ. კ. ყიფიანი. აგრეთვე წრის ყველა ძალების თანამშრომელთა დახმარებით. საერთოდ მონაწილეობს 80 კაცი და ქალი.

**ოპერა.** საფრანგეთის ცნობილ კომპოზიტორის მასნეს ოპერა „ვერტერ“ დაწერილია გიოტეს მოთხრობის სიუჟეტზე. გიოტეს „ვერტერი“ სრული განხორციელებაა რომანტიზმისა და კომპოზიტორიც ცდილა ჰანგთა შეწყობით განეხორციელებინა სული და გული უმწვერვალეს ხარისხამდე მიღწეულ ჭაბუკის სიყვარულისა და მისგან აღძრულ ტანჯვა-კაეშნისა. მთავარი ძარღვი ოპერისა ორკესტრშია გადატანილი და, როგორც ვოკალური ნაწარმოები, „ვერტერი“ თვალსაჩინოს მაგდენ არაფერს წარმოადგენს. სამაგიეროდ, საორკესტრო ნაწილი ოპერისა ჩინებულად არის შემუშავებული. მთელი სულიერი დრამა ვერტერისა ძლიერ სურათად იშლება ორკესტრის ჰანგთა შეხამებით. სიმღერა უფრო დამ-ტებაა ორკესტრისა, ვიდრე დამოუკიდებელი მომქმედი ძალა. ამასთანავე მასნე მხარს უქცევს ჩვეულებრივ საოპერო ფორმებს, არიებს, დუე*ებს, ტერცეტებს, კვარტეტებს, ანსამბლს. ხოროს ხომ სრულიად არა აქვს მონაწილეობა. გავიმეორებთ, მთავარი მომქმედი ორკესტრია და აგრეთვე თითონ ვერტერი. მთელი ოპერა წარმოადგენს მის სულთა რხევას, გრძნობათა განცდას, ხან უკიდურეს ლირიზმამდე მიღწეულს, ხან კი სტიქიონურ გრიგლად გადაქცეულს.

ეს ოპერა დასდგა საოპერო ამხანაგობამ 12 თებერვალს ბ-ნ მიშელ დარიალის (ნანობაშვილი) მეორე გასტროლისათვის. ბ-ნი ნანობაშვილი ჩინებული ვერტერია. სწორედ ამ როლში იჩენს იგი დიდ უნარს და მეტყველ ხმას. მთელი მისი სიმღერა კონტრასტებზეა აშენებული. სინაზე-სისათუთეს სცვლის მკვეთრი, ხმა-შეკონებული ამონაკვნესი ტანჯვავაებისა და მსმენელის გრძნობათა სალაროში ჰპოვებს თანაგრძნობას. იგი მღერის სრულიად თავისუფლად და ძალა დაუტანებლად. ამავე დროს იცავს მხატვრულ ზომიერებას. უმთავრესი ღირსება ბ-ნ ნანობაშვილისა—მისი ბუნებრივობაა თვით სიმღერაში და ეს სიმღერა თქვენზე მოქმედობს როგორც ჩვეულებრივი სიტყვა, უწყებულ აზრთან და გრძნობასთან შეხამებული. ამის გარეშე, იგი იმით არის თვალსაჩინო მომღერალი, რომ მოქმედების დროს უფრო და უფრო იკრებს ძალღონეს და თან-და-თანობით ავითარებს ძალას გადმოცემისას. ამის დამამტკიცებელია ის აღფრთოვანებული ტაშის კვრა და ვაშას ძახილი, რომელიც გაისმის თეატრში მით უფრო ძლიერად, რაც უფრო ხანი გადის. პირველში თავდაჭერილი, ცივი და წარბშეკრული საზოგადოება, თან-და-თან ცოცხლდება, იერს იკრებს, მოძრაობს და ბოლოს გრიგალივით ახმაურდება ხოლმე. ასე იყო „კარმენი“-ს დროს, ასევე გამეორდა „ვერტერ“-ის წარმოდგენაზე. თუ იმ გარემოებასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ბ-ნი ნანობაშვილი უცხო ენაზედ მღერის,—და ისიც ფრანგულ ენაზე, რომელიც სიმღერისათვის ვერ არის სასიამოვნო საკილოკავო,—ადვილი მისახვედრი გაგვიხდება, რომ მისი სიმღერის ზედგავლენა მსმენელზე ნახევრდება.

საზოგადოება ძალიან კმაყოფილი გამოვიდა თეატრიდან და ყველასაგან ერთ-ხმად გაიგებდით—მეტის მეტად სასიამოვნო მომღერალიაო.

მოგვეწონა ქ-ნი ალეშკო შარლოტას როლში, თუმცა ეს როლი ვოკალურ ღირსებებით არ არის მადლ მოსილი.

შესანიშნავად ასრულებდა თავის როლს ბ-ნი ვანო ფალიაშვილი. ისეთის მეტყველებით ალაპარაკებდა ორკესტრს, ისეთის ხმათა შეხამებით, ჰანგთა ამოკრეფით, ზოგისა უმწვერვალეს წერტილამდე მიღწევით, ზოგისა კი მილვერფლილ ნაკერჩხალივით მინელებით, რომ თითქმის სიმღერა აღარც-კი იყო საჭირო. ძლიერი შთაბეჭდილება გამოიწვია პირველ მოქმედების მუსიკალურმა სურათმა, ლირიზმით აღსავსემ, რომელშიაც გამოითქმის მომჯადოვებელ, მოტრფიალეთა მესაიდუმლე ღამის გრძნეულება და ვნებით აშლილ ჭაბუკთა ნაზი გულთა კრთომა. შესანიშნავად იყო გადმოცემული სიმფონიური სურათი მესამე მოქმედების მეორე სურათისა, რომელიც განასახიერებს საკრავების ხმათა ბგერაში—ვერტერის სულთა ძვრას თავის მოკვლის წინა წამებში.

წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო.

კვირას, 17 თებერვალს, ბ-ნი ნანობაშვილი მღერის „ჰუგენოტებში“. ეს შესანიშნავი ოპერა უკვდავ მეირბერისა თვალნათლივად გამოამზევებს ბ-ნ ნანობაშვილის არტისტიულ და ვოკალურ ნიჭს, რადგანაც რაულის პარტია მომღერლისათვის ერთი სახარბიელო პარტიათაგანია და ამასთანავე მეტად ძნელი, იშვიათად ხელმისაწვდენი.

**გორი.** კვირას, 17 თებერვალს ქ. გორში, ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში ცნობილ პოეტის **ვაჟა-ფშაველას** მონაწილეობით გაიმართება საინტერესო მუსიკალურ-ვოკალურ ლიტერატურული „**სალამო-მეჯლისი**“. მონაწილეობენ: ვაჟა-ფშაველა (ლექსები), მომღერალი ქალი ვ. ა. დავიდოვისა იმღერებს რუსულ-ქართულ რომანსებს, თედო რაზიკაშვილი წაიკითხავს საკუთარ ლექსებს, ს. ფაშალიშვილი წაიკითხავს საკუთარ ლექსებს, ია ეკალაძე წაიკითხავს ესკიზს, სალირაშვილი დაუკრავს თარზე სპარსულ ბაიათებს, კ. მელვინეთ-უხუცესი როიალზე, ქუთაისიდან მოწვეულია ახალგაზრდა მომღერალი დავით აკოფაშვილი, რომელიც შეასრულებს მხოლოდ ქართულ რომანსებს და სხვათა შორის გრიშაშვილის „გენაცვალეს“, ი. გრიშაშვილი წაიკითხავს ჯერ დაუბეჭდავ ახალ ლექსებს, და დასასრულ ცნობილი კომიკი ნ. გოცირიძე ტანისამოსსა და გრიმში წაიკითხავს სომხურ საოხუნჯო სცენებს. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

**დ. ჭიათურა.** კვირას, 10 თებერვალს, ადგილობრივმა სცენის მოყვარეთა წრემ, დ. ჩარკვიანის რეჟისორობით და მონაწილეობით, განსვენებულ ნატალია გაბუნია-ცაგარლის პატივ-საცემლად წარმოადგინა ოთხ მოქმ. დრამა „ქართველი დედა“. განსვენებულ ნატალია გაბუნიას სახელი მხოლოდ რეკლამა გამოდგა. მოთამაშეებში აღსანიშნავია მხოლოდ ჩარკვიანი (ვახტანგის როლში) და სალარაძე (ლეილას როლში), დანარჩენების თამაში კი, სახსენებელიც არ არის. პიესამ საზოგადოდ ძალიან სუსტად ჩაიარა. მოთამაშენი ერთი ერთმანეთს არ აცლიდენ ლაპარაკს, ერთი მეორეს სიტყვებს ჰგლეჯდნენ, ერთის სალაპარაკოს მეორე ამბობდა და სხვა.

წელს, ჭიათურის თეატრი ვერ ასრულებს იმ, როლს რომელსაც ასრულებდა ორი წლის წინედ. ეს იმის ბრალია, რომ ჭიათურის სცენას ჩამოსცილდა ისეთი ნიჭიერი მოთამაშენი, როგორიც არიან მითიაშვილი, ვარაზაშვილი, გომელაური, ნუცუბიძე და სხვანი. ჭიათურის საზოგადოება, ალ. წუწუნავამ და ვ. შალიკაშვილმა მიაჩვიეს ხელოვნურად დადგმულ პიესებს, ესთეტიურად აღფრთოვანებას და წრევანდელმა სეზონმა ეს ვერ შესძლო.

**ბელურა.**

## წერ. რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გუდაუთის განყოფილების გამგეობა უმორჩილესად გთხოვთ მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთის ფურცლებზე 14 იანვრის გამართულ საღამოს ანგარიში. ბილეთების გაყიდვისაგან შემოვიდა 178 მან. პროგრამები, კონფეტი და ფოშტა 17 მან. და 15 კ., ბუფეტში შემოვიდა 161 მან. 61 კ., მოსამსახურეების სასარგებლოთ შეიკრიბა 3 მან. 73 კ., ბუფეტში დარჩენილი სანოვაგე გაიყიდა 7 მან. 40 კ., ფულად შემოვიდა შემოწირულება 42 მან. 40 კ., სულ შემოსული იყო 410 მან. და 29 კაპ. საღამოს მოწყობაში და ბუფეტზე დაიხარჯა სულ 188 მან. 62 კ. წმინდა დარჩა 221 მან. 67 კაპ.

განყოფილების გამგეობა ულრმეს მადლობას უცხადებს ყველა იმ პირთ, რომელთაც არ დაიშურეს უხვი შემოწირულება ზოგმა ფულად და ზოგმაც ბუფეტისთვის სანოვაგით; გამგეობა მადლობას უცხადებს აგრეთვე იმ პირთაც, რომლებმაც ენერგიული მონაწილეობა მიიღეს საღამოს მოწყობაში და მით ხელი შეუწყვეს მის კარგად ჩატარებას; მადლობას სწირავს აგრეთვე მთელ დამსწრე საზოგადოებასაც თანაგრძნობისათვის.

**გამგეობა.**

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა მოვახსენო ქ. ქ. ე. სალაყაის, მ. ლიტვინოვას, ბ. კეშელავას, პ. იოსელიანს, ბ. თელიას, მ. ქორქიას, ე. გაბელიას, ს. გოგინავას, ა. ქადეიშვილისას, ე. კოპალაძისას, ე. ხოშტარიას, დ. კახიანს, თ. ტუღუშს, ქ. ჩხაიძეს, ლ. მინაევას, ც. გვალიას, ნ. ნორაკიძეს, ნ. ჭოჭუას, თ. ქუთათელაძეს, ა. ივანოვას, ს. მეუნარგიას, ე. კახიძეს, ქ. ოსიძეს, ნ. ნიკოლაიშვილს, თ. კვერკველიას, ნ. თუმანოვას, ე. ხოფერიას, ვ. ნამიჩეიშვილს, ბ. გვაზავას და ე. ჭოლიას; ბ.ბ. მ. გვალიას, ს. დანაროვს, ა. მეგრელიძეს, მ. ჭუპაბრიას, ი. კეიდიას, „ბარონს“, ლადო გეგეჭკორს, ანტ. ჟღენტს, გ. ჟღენტს, კ. გაწერელიას, კ. თელიას, ემ. ნოდიას, ვ. ლიფონოვას, მ. ხაფთასს, ბ. ჩხეტიას, გ. ლოლუას და ყველა იმათ, ვინც კეთილ ინებეს და ჩემი ჭრა-კერვის ქალთა სკოლის სასარგებლოდ გამართულ საღამოში—ამა წლის 26 იანვარს—მონაწილეობა მიიღეს და ბ. მ. კილურაძეს ხუთ მანეთად ღირებული ასი „პიროჟკის“ უფასოდ დათმობისათვის.

საღამოს შემოსავალი 415 მ. 20 კ. ხარჯი 235 მ. 32 კ. დარჩა 179 მ. 88 კაპ.

ეს ფული უკლებლივ მივიღე საღამოს გამგეთაგან ქ. ე. სალაყაიასა და ბ. მ. გვალიასაგან, რომელთაც უანგარო შრომის გაწევისათვის განსაკუთრებლად ვმადლობ.

პატივისცემით ფოთის ჭრ.-კერვის ქალთა სკოლის გამგე **ნ. ლოლუა.**

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**

## გამოსადეგი ცნობა
### მატარებელთა მიმოსვლა
(ზამთრობით).

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო** № 8, საღ. 6. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ: სახ.** №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ: ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ: სახ.-საბ.** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ: საფ.** № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ: სახ.-საბ.** № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან. ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან: სახ.** № 12, დილ. 8 ს. 50 წ, **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან: სახ.-საბ.** № 83;7, საღ. 5 ს. 28 წ.

**ყარსიდან: სახ.-საბ** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან: სახ.** № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან: სახალ.** № 9/10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვიდან სურამში სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.,** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში: სახ.** № 77 დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 84 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს: სახ.** № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს სახ.** № 27/28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 II, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 II, საღ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში; სახ.** № 3 II შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 II, საღ. 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 II, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 II ნაშ. ს. 18 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს: სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს: სახ** № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში. სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს: სახ.** № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. 1 და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას მატარებლის ნომრები 3 და 4.

### გემების მიმოსვლა
(ზამთრობით)

**15 ოქტომბრიდან,**

**შავ-ზღვაზე.**

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

**„ვაჭრობა-ნავოსნობის“**

საზოგადოების გემები.

**ბათომიდან გადის:**

1) პირდაპირი, **საფოსტო** გ მი **შაბ.,** და **კვირ.,** ღამ. 12 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკევ.,** შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სა.,** **შაბათ.,** ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.,** ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომში მოდის:**

**ოდესიდან** პირდაპირი, **საფ., პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ორშ.,** საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.,** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამგზ., პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.,** საღ. 6 ს. 40 წ.

**კასპიის ზღვაზე.**

**„კავკაზი და მერკური“**

საზოგადოების გემებისა.

**ბაქოდან გადის:**

**კრასნოვოდსკს,** ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
**ენზელს** პირდაპირი, **პარ.,** და **სამშაბ.,** ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

**ასტარას, ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

**ბაქოში მოდის;**

**კრასნოვოდსკიდან** ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
**ენზელიდა** ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.
**ასტარიდან** კვირ., ირგვლ. მოს. დილ. ს. 44 წ.


## განცხადებანი

### ექიმ ნაგასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

**დილით:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

ი. ა. **ნაგასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. აველიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინ; კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. აველიხიანცი:** 6—7 საათ.
**ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევისა** 6—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი **ბ. ა. ნაგასარდიანი.**

### ფეხსაცმელები
**თომა დ. ჯანუარაშვილის**
**მაღაზია-სახელოსნოში.**

მუხრანის ქ. № 2.

ყოველ ნაირი: საკუთარი და პეტერბ.



მეხანიკური ნაწარმოები. 30.

### მუხრანის კერძო სამკურნალო
**საწოლი კრაოტებით.**

19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370.**

დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

| ექიმების მიერ: | | დილით: | |
|---|---|---|---|
| შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა და მოზრდილთ. | სპექტიორი გ. მ. | 8½—9½ | ს. |
| | იაშვილი ა. ლ. | 11—12 | ს. |
| | აბაკელია ი. ქ. | 12—1 | ს. |
| | ლოლობერიძე გ. მ. | 12½—1½ | ს. |
| სადოსტაქრო სნეულებანი: | გრიგორიანი ა. ი. | 11—12 | ს. |
| | მელკონიანი გ. ა. | 12—1 | ს. |
| | ჯაში ი. ი. | 9½—10½ | ს. |
| [illegible] | გრიგორიანი ა. ი. | 11—12 | ს. |
| [illegible] | მიკირტუმოვი | 10 11 | ს. |
| | ექიმი-ქალი ტერ-დავიდოვისა | 11—12 | ს. |
| | ლოლობერიძე | 12½—1½ | ს. |
| [illegible] | შაპელნიკოვი გ. ი. | 1½—2½ | ს. |

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“,** ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

### გამოსულია და იყიდება
**ი. გედევანიშვილის** პიესა
**„გ ა მ ც ე მ ი“**

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

### ტფილისის ქალაქის გამგეობა
**თებერვლის 17-ს შუადღ. 12 საათისათვის დანიშნა ტვირთის მზიდველ**

### მეეტლეთა მამასახლისისა და მის თანაშემწის არჩევნები.

ამისათვის სთხოვს ტვირთის მზიდავ ეტლთა პატრონებს აღნიშნულ დღეს მობრძანდნენ **შრომის ბირჟის დარბაზში,** თან წამოიმძღვარონ სათანადო ბლიახები, ცხენებზე გაწერილ გადასახადის შეტანის კვიტანციები და სავალდებულო დადგენილებათა წიგნაკები. 1058

### განცხადება
### სამეურნეო იარაღების საწყობი
**გ. ბ. თათუზოვი და ამხანაგობა.**

ამით ვაუწყებთ პატივცემულ მეურნეებს, რომ ჩვენს საწყობში შეუძლიანთ მსურველებს შეიძინონ, **როგორც ნაღდზე, ისე ნისიად** შემდეგი სამეურნეო იარაღები: სალეწი მანქანები—სანიავებელი აპპარატებით, ორთქლით მომუშავე გუთნები, სამკალი მანქანები, როგორც თვით ძნის შემკვრელი ისევე სხვა; რიგზე სათესი მანქანები, როგორც სიმინდისა აგრეთვე პურისა, მატორები, სიმინდის საცეხვი, ყურძნის საწური და გორველის გასარჩევი მანქანები, გუთნები და ერთი სიტყვით

**—✦ ყოველნაირი სამეურნეო იარაღები ✦—**

**საწყობი იმყოფება ქ. თელავში,** ხიდის ყურთან, ნარიმანოვის სახლებში, ქალაქის თვითმმართველობის ქვეშ.

103 პატივისცემით **გ. ბ. თათუზოვი და ამ—გობა.**

**—✦ გამოსულია და იყიდება ✦—**

### ნ. შიუკაშვილის
პიესა **„მემობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

### ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
**ისყიდება შემდეგი წიგნები:**

| | | |
|---|---|---|
| ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა | ფ. 50 | კ. |
| ბავშვის მოვლა ნათაძისა | 25 | „ |
| „ „ კომბინა. ნათ. მაჩაბ. | 40 | „ |
| დედაკაცის ხვედრი | 15 | „ |
| მშობლები და მათი შვილები—როგორნიც უნდა იყვნენ და ზრდიდნენ | 30 | „ |
| ჩვენს ქალებს. შტარის წერილები | 20 | „ |
| სამი მსხვერპლი. დ. კარიჭაშვილისა | 30 | „ |
| აკაკის საიუბილეო კრებული | 25 | „ |
| Народная медицина въ Закавказскомъ Краѣ | 70 | „ |
| Эскизы и Этюды. И. Хонэли | 1 მ. | |

**მიღებულია ახალი წიგნები:**

| | | |
|---|---|---|
| Памятная записка объ Иверскомъ монастырѣ на Аѳонѣ | 50 | „ |
| Нетронутый уголокъ. Ведребисели | 60 | „ |
| მცენარენი და ცხოველები ვ. რცხილაძისა | 40 | „ |
| ვლადიმერ სარ ალექსი-მესხიშვილი. ბიოგრაფია, შედგენილი დ. კასრაძისა | 50 | „ |

**ადრესი:** Тифлисъ О-ва распр. грамотности сред. гр. нас. 1141

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

**ქვირითის** (კეტოვ.) **ხიზილალა,**

**გამოსული ქერჩის სელიოტკები,**

და ყოველგვარი

**კონსერვები.**

თევზის მრეწველნი **ძმ. ძებველოვები.**

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**
**ტელეფონი № 712.**

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თარო და ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

**✦ შავი ხიზილალა ✦**

1131


ტფილისი მუხრანის ქუჩა № 12 სტამბა „შრომა“.